ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრთა ელექტრონული გამოკითხვის შედეგები
ოქმი №1

თბილისი, 28 იანვარი, 2026 წელი

დღის წესრიგი:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე დამტკიცების მიზნით, საბჭოს წევრებს გაეგზავნათ დღის წესრიგი და შესაბამისი მასალები - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილები, კერძოდ:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 77)

- ცვლილება: **სავალდებულო სასწავლო კურსის დამატების შესახებ**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსი **„ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის"** (სემესტრი 2, სილაბუსის ავტორები: დ. თვალთვაძე, ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი. ნ. შარაშენიძე).

საფუძველი: ცვლილება თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კანონში (მუხლი 2, ქვეპუნქტი 3^{54}) შესულ ცვლილებასთან, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე სავალდებულო კურსად სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის სწავლებას.

- ცვლილება: **სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსს **„შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში"** მეორე სემესტრის ნაცვლად განესაზღვრა მეოთხე სემესტრი.

საფუძველი: ცვლილება განპირობებული იყო სასწავლო კურსის „ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის“ სემესტრის განსაზღვრით.

- **ცვლილება: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებს 10 კრედიტის ნაცვლად განესაზღვრა 5 კრედიტი.

საფუძველი: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ოპტიმიზაცია, რომელიც განპირობებული იყო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის დამატებით.

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 321)

- **ცვლილება: სავალდებულო სასწავლო კურსის დამატების შესახებ**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსი **„ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის“** (სემესტრი 1, სილაბუსის ავტორები: დ. თვალთვაძე, ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი. ნ. შარაშენიძე).

საფუძველი: ცვლილება თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კანონში (მუხლი 2, ქვეპუნქტი 3^{54}) შესულ ცვლილებასთან, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე სავალდებულო კურსად სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის სწავლებას.

- **ცვლილება: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებს 10 კრედიტის ნაცვლად განესაზღვრა 5 კრედიტი.

საფუძველი: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ოპტიმიზაცია, რომელიც განპირობებული იყო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის დამატებით.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 320)

- **ცვლილება: სავალდებულო სასწავლო კურსის დამატების შესახებ**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსი **„ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის“** (სემესტრი 1, სილაბუსის ავტორები: დ. თვალთვაძე, ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი. ნ.

შარაშენიძე).

საფუძველი: ცვლილება თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კანონში (მუხლი 2, ქვეპუნქტი 3[54]) შესულ ცვლილებასთან, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე სავალდებულო კურსად სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის სწავლებას.

➢ ცვლილება: **პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებს 10 კრედიტის ნაცვლად განესაზღვრა 5 კრედიტი.

საფუძველი: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ოპტიმიზაცია, რომელიც განპირობებული იყო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის დამატებით.

4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 79)

➢ ცვლილება: **სავალდებულო სასწავლო კურსის დამატების შესახებ**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსი **„ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის"** (სემესტრი 2, სილაბუსის ავტორები: დ. თვალთვაძე, ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი. ნ. შარაშენიძე).

საფუძველი: ცვლილება თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კანონში (მუხლი 2, ქვეპუნქტი 3[54]) შესულ ცვლილებასთან, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე სავალდებულო კურსად სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის სწავლებას.

➢ ცვლილება: **სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსს **„ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში"** მეორე სემესტრის ნაცვლად განესაზღვრა მესამე სემესტრი, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსს **„ინფორმაციული სისტემები ტურიზმში"** განესაზღვრა მეოთხე სემესტრი.

საფუძველი: ცვლილება განპირობებული იყო სასწავლო კურსის „ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის" სემესტრის განსაზღვრით.

➢ ცვლილება: **პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებს 10 კრედიტის ნაცვლად განესაზღვრა 5 კრედიტი.

საფუძველი: პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ოპტიმიზაცია, რომელიც განპირობებული იყო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის დამატებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 24-მა წევრმა.

დადგინეს: დამტკიცდეს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში: **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 77); ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 321); ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 320); ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 79)** წარმოდგენილი ცვლილებები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანი, პროფესორი **ბ. ოყაანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**